# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

23 მარტი ხუთშაბათი 2023 წელი №13 (9275)

ფასი 40 თეთრი


## საპარლამენტო უმრავლესობისა და საქართველოს მთავრობის გასვლითი შეხვედრა გაიმართა



19 მარტს, სასტუმრო „ბორჯომ-ლიკანში" გაიმართა საპარლამენტო უმრავლესობისა და საქართველოს მთავრობის გასვლითი შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი,** „ქართული ოცნების" თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძე,** პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილი,** მმართველი პარტიის გენერალური მდივანი **კახი კალაძე,** აღმასრულებელი მდივანი **მამუკა მდინარაძე,** უმრავლესობისა და მინისტრთა კაბინეტის წევრები.

სამუშაო შეხვედრაზე განიხილეს მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხები. საუბარი მიმდინარე პოლიტიკურ პროცესების გარდა, შეეხო საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის სამომავლო სამუშაო გეგმებს.

## ლევან იოსელიანი სახალხო დამცველია



**პარლამენტმა სახალხო დამცველად ლევან იოსელიანი აირჩია. კენჭისყრის შედეგად ლევანი ოსელიანის კანდიდატურას მხარი დაუჭირა 96-მა დეპუტატმა, წინააღმდეგი არც ერთი არ ყოფილა. ლევან იოსელიანი სახალხო დამცველობის კანდიდატად პარტიის „მოქალაქეებმა" წარადგინეს.**

**მადლობა ყველას, ვინც ნდობა გამომიცხადეთ, მე გავაკეთებ ყველაფერს, რომ გავამართლო ის პოზიცია, რომელსაც ჰქვია ძალიან საპატიო სახელი - სახალხო დამცველი - თქვა ლევან იოსელიანმა და დასძინა, რომ ის ყველას დამცველი იქნება.**

## ქართული ჟურნალისტიკის დღე



**21 მარტს** ქართული ჟურნალისტიკის დღე აღინიშნება. თარიღი საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციამ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 1993 წელს დააწესეს.

ეს დღე პირველი ქართული გაზეთის დაარსებას უკავშირდება. „საქართველოს გაზეთი"-ს პირველი ნომერი 1819 წლის 8 მარტს, ახალი სტილით 21 მარტს გამოიცა. 2004 წლის შემდეგ უამრავი პერიოდული გამოცემა, ტელეკომპანია თუ რადიო მაუწყებლობა არსებობს ჩვენს ქვეყანაში. სწორედ ჟურნალისტიკის სფეროს წარმომადგენლები არიან ის ადამიანები, რომლებიც ქართული საზოგადოების ინფორმირებულობისათვის მუშაობენ დღის ნებისმიერ დროს. სწორედ ჟურნასილისტის პროფესიაა ერთ-ერთი ყველაზე რთული პროფესია უამრავ რთულ პროფესიათაგან, სადაც, მადლიერი ადამიანების რიცხვი საკმაოდ მცირეა.

ვულოცავთ თითოეული მედიის წარმომადგენელს პროფესიულ დღეს, ვუსურვებთ სამართლიან ქვეყანაში ცხოვრებას და რაც მთავარია, ბევრ ობიექტურ ინფორმაციას.

## საზოგადოებრივი ტრანსპორტი კვირაში ორჯერ - უფასოდ



**ტაბაწყურის** მაღალმთიანი სოფლები ხანგრძლივი ზამთრის პერიოდში თითქმის მოწყვეტილია ბორჯომის მუნიციპალიტეტის ცენტრს, ხოლო ზაფხულობით სოფლის მშრომელთა ქალაქამდე ჩამოსვლა სიამოვნებაა. ამიერიდან მოსახლეობას კვირაში სავარაუდოდ ორჯერ, ტრანსპორტი უფასოდ მოემსახურება.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი ზონის სოფლების მოსახლეობას კვირაში სავარაუდოდ ორჯერ ტრანსპორტი უფასოდ მოემსახურება. სიახლე ა(ა)იპ ბორჯომის საზოგადოებრივი ტრანსპორტის დირექტორმა **დიმიტრი ყიფიანმა,** ტელეკომპანია „ბორჯომთან" საუბრისას დაანონსა.

## მხარდაჭერა კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ოჯახს



**სამცხე-ჯავახეთის** განვითარების ცენტრის მორიგი მხარდაჭერა კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ოჯახს.

სამცხე-ჯავახეთის განვითარების ცენტრისათვის სოციალურად დაუცველი მოსახლეობისადმი დახმარება პრიორიტეტულია.

მხარდაჭერით ბორჯომში მცხოვრებ **თამარ სარალიძის** ოჯახს მაცივარი გადაეცა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი პრევენციაში ჩართული ოჯახის საჭიროებებს გაეცნო და მომავალშიც შესაბამის მხარდაჭერას დაპირდა.

## ევროპაში საქართველო მასპინძელია



მინერალური წყალი „ბორჯომი" ITB BERLIN-ზე

**6 მარტს** გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დედაქალაქ ბერლინში მსოფლიოს 180 ქვეყნის წარმომადგენლები ქართული კულტურის, ისტორიის, ღვევანდელობის შემფასებლები მადლობას უხდიდნენ საქართველოს ხელისუფლებას იმ ჭეშმარიტად მდიდარი და მრავალფეროვანი გამოფენისათვის, რომელიც საქართველომ წარადგინა მსოფლიოს ყველაზე მასშტაბური ტურისტული და კულინარიული გამოფენის 2023 წლის მონაწილეთა უშველებელ საგამოფენო დარბაზში და თაროებზე წარმოდგენილი იყო საქართველოს უნიკალური ბუნებისა და ისტორიის ამსახველი პანოები. კვების პროდუქტები, ადგილზე მომზადებული მრავალფეროვანი ქართული კერძები, ასობით ჯიშის ყურძნისაგან დამზადებული ღვინოები, უნიკალური მინერალური წყლები და სხვადასხვა ნუგბარი უდიდესი მოთხოვნით სარგებლობდა სტუმართა შორის.

ჭეშმარიტმა ევროპელებმა უმაღლესი შეფასება მისცეს გამოფენაზე წარმოდგენილ ქართულ სამზარეულოს.

მსოფლიოს მნიშვნელობის გამოფენაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა.**

ქართული მინერალური წყალი „ბორჯომი" მსოფლიოს



ყველაზე მასშტაბური ტურისტული გამოფენის - ITB Berlin 2023 წლის მონაწილე იყო.

საქართველომ მასპინძელი ქვეყნის სტატუსით მთელ მსოფლიოს გააცნო ჩვენი კულტურა, ისტორია, გასტრონომია და ის პროდუქტები, რომლებიც ჩვენი იდენტობის განუყოფელი ნაწილია.

გამოფენას სამი დღის განმავლობაში მსოფლიოს 180-ზე მეტი ქვეყნის 200 ათასამდე ვიზიტორი სტუმრობდა.

## „საქმიანი ეზოები" ხალხის სამსახურში



**ეროვნული** სატყეო სააგენტოს უფროსი **კახა ცერცვაძე** ბორჯომის მუნიციპალიტეტში იმყოფებოდა, სადაც, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, პლატოზე (უფროსი **ვანო ლომიძე**) „საქმიან ეზოში" მიმდინარე სამუშაოებს გაეცნო. სააგენტოს უფროსი ქვეყნის მასშტაბით მოწყობილი „საქმიანი ეზოების" მუშაობას ეტაპობრივად ეცნობა.

- „საქმიან ეზოში" შესაძლებელია ტყესთან დაკავშირებული ყველა ინფორმაციისა და მომსახურების გამარტივებული წესით მიღება. ხე-ტყის ორგანიზებული დამზადება, რაც ტყის მდგრადი მართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, ერთი მხრივ, მოსახლეობის სათბობი შეშით უზრუნველყოფას გულისხმობს, ხოლო მეორე მხრივ, სოფლად დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნასა და შემოსავლების ზრდის საშუალებას იძლევა", - განაცხადა ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსმა, **კახა ცერცვაძემ.**

აღსანიშნავია, რომ ქვეყნის მასშტაბით უკვე მოწყობილია 39 „საქმინი ეზო", მათ შორის, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში - ბორჯომში, ასპინძაში, ადიგენსა და ახალციხეში, ჯამში, 6 „საქმიანი ეზო" ფუნქციონირებს. ეროვნული სატყეო სააგენტო მოსახლეობის სურვილის შემთხვევაში, საშეშე მერქნის ტრანსპორტირების მომსახურებასაც თავაზობს.

2023 წლის ბოლომდე, ქვეყნის მასშტაბით, დამატებით 17 „საქმიანი ეზო" მოეწყობა.

# პატრიოტობა პროფესია არ არის

**„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის მიღების შემდგომ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები ქვეყნის მთავარი საინფორმაციო საშუალებების ყურადღების ცენტრშია. სოციალურ ქსელში არ წყდება ადამიანთა ლანძღვა-გინება პოლიტიკური პარტიებისა თუ ხელისუფლების მიმართ. საბედნიეროდ, რუსთაველზე მიმდინარე რამდენიმე დღიანი აქციის შემდეგ პარლამენტმა პროექტი გაიწვია და მის წინააღმდეგ დეპუტატებმა ხმაც მისცეს. როგორც საქართველოს ისტორიული წარსულის ნებისმიერ ეტაპზე, ახლაც აქციის მონაწილეთა შორის უმრავლესობა საქართველოში არსებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები და სასკოლო ასაკის თინეიჯერები არიან. მათი ძირითადი მიზანი სწორედ ევროპისკენ სწრაფვაა და ტრანსპარანტებითა და შეძახილებით მთავარი მესიჯი უთხრეს „არა რუსეთს“.**

**რუსეთს,** საქართველოს დაუძინებელ მტერს, რომელიც მუდამ „დამპყრობლის“ როლში გვევლინებოდა და ხან მალვით გვიპყრობდა და ხანაც ცხადლივ. თუმცა, ხომ გაგიგიათ, ციხე შიგნიდან ტყდებაო და მოსულ მტერთან შედარებით რომ ქვეყნის შიგნით არანაკლები მტერი ჰყავს ჩვენ ქვეყანას, ისიც კარგად ვიცით. ქართველი ხალხი, რომ ყოველთვის „ერთმანეთის ჭამით იყო მაძღარი“ ესეც კარგადაა ცნობილი და არც ახლანდელი მდგომარეობაა გამონაკლისი ამ მხრივ. ვინც სოციალური ქსელის აქტიური მომხმარებელია, მათთვის ნამდვილად შესამჩნევი უნდა იყოს სამეგობროში



მყოფ ადამიანთა პოლიტიკური შეხედულებები. მე პირადად, სოციალურ ქსელში ასეთი ადამიანების მხრიდან გამართული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა პანდემიის პერიოდს მაგონებს. აცრილთა და აუცრელთა ბრძოლა ხომ ამის თვალსაჩინო მაგალიათია, როდესაც ლამის ქვეყნის მოღალატეებად შერაცხეს ისინი, ვინ ვაქცინის გაკეთებაზე უარი განაცხადა. პანდემია აღარ არის, თუმცა ადამიანების დამოკიდებულება მაინც არ შეცვლილა და როდესაც მიზეზის პოვნა გინდა, სადღაც მაინც იპოვი. სხვისი ჭკუის სწავლება, რომ კარგად გამოგვდის ქართველებს არც ესაა უცხო არავისთვის. აი ჩემი წერილი კი რითიც დავიწყე, იმითვე გავაგრძელებ და ვიტყვი, რომ ჩემდა გასაკვირად ბევრ „ვითომ პოლიტიკის მცოდნე“ ადამიანებს შორის, მე პირადად სრული „უვიცობა“ დავინახე და სიმართლე გითხრათ, ვფიქრობ, თუ რაღაც არ იცი, არაა საჭირო იმაზე საუბარი. მე ის უფრო მაფიქრებს, აღნიშნულ საკითხში საკმაოდ „კარგად მცოდნენი“ და „განსაწავლულები“ რომ დუმნან. ვისაც კი სულ მცირედი ცოდნა მაინც აქვს საქართველოს ისტორიის, ლიტერატურის, თუ რელიგიისაა, კარგად იციან, რომ ჩვენი გამორჩეული „ქართული ელიტა“, დიდებული მწერლები, პოეტები თუ სასულიერო მოღვაწენი ჯერ კიდევ საუკუნეების წინ ცდილობდნენ, ევროპაში ცოდნა მიღებულებს, ისევ ქვეყნისათვის სასიკეთო საქმეები ეკეთებიათ. ჯერ კიდევ XI საუკუნეში გიორგი ათონელმა, 80 ობოლი ბავშვი ათონის მთაზე სასწავლებლად იმ ფიქრით და მიზნით წაიყვანა, რომ იქ ცოდნამიღებულები, ისევ ქვეყანას გამოადგებიანო. თუნდაც დიდი ექვთიმე თაყაიშვილი, ისტორიკოსი, არქეოლოგი და საზოგადო მოღვაწე, რომელიც საფრანგეთში გატანილი „საქართველოს საგანძურის მცველი“ იყო, საკუთარი ქვეყნისაგან შორს, ყველაზე დიდი პატრიოტი გახლდათ **„პატარა საქართველოსი“.**

რეზო თაბუკაშვილის თქმისა არ იყოს - **„პატრიოტობა პროფესია არ არის, პროფესიონალიზმია პატრიოტიზმი. ის პროფესიონალიზმი, რომელსაც შენს სამშობლოს მოახმარ“.**

შესანიშნავად იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა სიტყვა პატრიოტიზმის მნიშვნელობა.

აი, მე პირადად, როგორც ერთ ჩვეულებრივ, რიგით საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც შემიძლია ჩემი პოზიცია გამოვხატო იმ მოვლენების მიმართ, რაც ქვეყანაში ხდება, ერთი რამის თქმა შემიძლია მხოლოდ, რომ დღეს ჩემთვის, საქართველოდან წასული ბევრი ემიგრანტია ჩემი ქვეყნის „გულწრფელი პატრიოტი“. ის ადამიანები, რომლებიც წლების მანძილზე ქვეყნისაგან შორს არიან და საკუთარ ადათ-წესებს, ტრადიციებსა და კულტურას არ ივიწყებენ, ხშირ შემთხვევაში კი სხვებსაც უზიარებენ და სანაცვლოდ არც არაფერს ითხოვენ. სამშობლოსაგან შორს არიან, იციან, რას აკეთებენ და რისთვის აკეთებენ. თანაც, ხშირად ამ ყველაფერზე ხმამაღლა არც კი საუბრობენ (ბევრი საქართველოში მცხოვრები „ვითომ პატრიოტისაგან“ განსხვავებით).

ბოლოს კი მინდა, ჩემი სათქმელი ბატონ გია მურღულიას სიტყვებით დავასრულო, რომელიც ყველაზე უკეთ შეესადაგება იმ რეალობას, რომლის წინაშეც დღეს ჩვენი საზოგადოება იმყოფება და არსებული სიტყვების გააზრება მართლაც არ აწყენდათ.

**„მთავარი ის არის, შენი სამშობლო თავისუფლი რომ იქნება, შენ ვინ იქნები - ადამიანი და ქვეყანა თანაბრად ანიჭებენ ერთმანეთს აზრს. „ბოროტი კაცი დანიაშიც ბოროტი არის“, -წერია ჰამლეტში. ლუარსაბ თათქარიძე საფრანგეთშიც ლუარსაბია. იყავი თავისუფალი სამშობლოს ღირსი და მაშინ მთელი სამყაროს ღირსიც იქნები.**

**ცხოვრება პიროვნული პასუხიმგებლობაა და არა (უბრალოდ ან მუდმივად კოლექტიური თავშესაფარი“).**

**მოამზადა ნატო მელიქიძემ**

# რა სიკეთეს მოუტანს მსოფლიოს რუსეთ-უკრაინის ომი?!

**საიდუმლო არაა ის ფაქტი, რომ დღეს საქართველოს საზოგადოებაში ათეულობით და ასეულობით არასამთავრობო ორგანიზაციაა შექმნილი და ვინ რომელი ქვეყნიდან ფინანსდება ან ვინ რას აკეთებს ქვეყნის სასიკეთოდ ძნელი დასადგენია. სწორედ ამ მეტად მტკივნეული პრობლემის მოსაგვარებლად პარლამენტში შექმნილმა ჯგუფმა გადაწყვიტა კანონის შემუშავება, რისთვისაც ამერიკული პროექტის ანალოგი შექმნეს, მაგრამ რადიკალურმა ოპოზიაციამ აქციებით ისეთი ცეცხლი დაანთო, კინაღამ პარლამენტის შენობა გადაწვეს. მმართველი პარტია იძულებული გახდა ვენეციის კომისიაში გაგზავნილი კანონპროექტი უკან გამოეწვია. რომ იტყვიან, ქარიშხალი ჩაწყნარდა, მაგრამ როდის აბობოქრდება, არავინ იცის. ხელისუფლებამ გადაწყვიტა საქართველოს რეგიონებში გავიდეს და ხალხს განუმარტოს კანონპროექტის არსი და მნიშვნელობა.**

**ფაქტია,** ყველა რჩევა, რომელიც საქართველოს პარტნიორებმა და სტრატეგიულმა მეგობრებმა მოგვცეს, საგულისხმო და გასათვალისწინებელია. ახალი კანონი თანხვედრაში უნდა მოვიდეს საქართველოს ინტერესებთან. ამასთან საზოგადოებამ, პოლიტიკურმა და სამოქალაქო ორგანიზაციებმა მეტი სიბრძნე უნდა გამოიჩინონ პრობლემის მშვიდობიანად გადაწყვეტისათვის და გონივრულად იმოქმედონ. ეს რაც შეეხება 7-8-9 მარტს გამართულ აქციებს.

ახლა ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა რუსეთ-უკრაინას შორის მიმდინარე ომზე, რომელმაც უკრაინას დიდი ეკონომიკური და სოციალური პრობლემები შეუქმნა. დანგრეულია და მიწასთანაა გასწორებული ერთ დროს აყვავებული ქალაქები და დაბა-სოფლები, დაღუპულია ასიათასობით მშვიდობიანი მოსახლეობა და კაცმა არ იცის, როდის დამთავრდება ეს უაზრო ომი. სამწუხაროდ, პრესაში, ტელევიზიაში და სოციალურ ქსელში მეტად ძუნწი ცნობები ვრცელდება ერთმორწმუნე რუსეთსა უკრაინას შორის გაჩაღებულ სისხლისმღვრელ ომის გამომწვევ მიზეზებზე.



რუსეთის ხელისუფლება კატეგორიულად მოუწოდებს ნატოს და ევროპულ სახელმწიფოებს, შეწყვიტონ რუსეთის საზღვრის სიახლოვეს ნატოს ჯარების განლაგება, ამასთან რუსეთი ხაზგასმით მოუწოდებდა უკრაინის ხელისუფლებას, ნეონაციონალების და ლიბერალების, იგივე ბენდერების მტრული პოლიტიკის აღკვეთისაკენ, რაც უპირველესად უკრაინაში მცხოვრები რუსების წინააღმდეგ ქმედებაში გამოიხატებოდა. ასე რომ, როგორც ჩანს, მოწოდებებს არ ითვალისწინებდა არც ნატო, არც აშშ და არც ევროპული სახელმწიფოები, რომლებიც დღეს მილიარდობის ღირებულების თანამედროვე იარაღს აწვდიან უკრაინას, უფრო მეტიც, უკრაინის ხელისუფლება საქართველოს მოუწოდებდა მეორე ფრონტის გახსნისაკენ. არავინ ითვალისწინებდა თუ რა დღეში აღმოჩნდებოდა ჩვენი სამშობლო.

მეორე ფრონტის გახსნის წინააღმდეგი იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი,** მისი უდიდესი ძალისხმევის შედეგად საქართველოში მშვიდობამ გაიმარჯვა.

რადგან ბენდერები ვახსენე, მინდა მეორე მსოფლიო ომის პერიოდიც გავიხსენო და აღვნიშნო ის მტრული მოქმედებები, რასაც ბენდერები იჩენდნენ მოქალქეების და კერძოდ, უკრაინელების წინააღმდეგ. ისინი არ ინდობდნენ არც საბჭოთა ჯარისკაცებს, არც უკრაინელ მშვიდობიან მოსახლეობას, მათი ქმედებები აჭარბებდა თვით ფაშისტების აგრესიას. ბენდერებს არც სამომავლო ომის შემდეგ შეუწყვეტიათ უკრაინის და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბინძური საქმინობა, რისი მოწმეც პირადად ვიყავი, როცა 1962-1964 წლებში საბჭოთა ჯარში ვმსახურობდი ქალაქ ლვოვში.

როგორც ვეტერანმა სამხედროებმა გვითხრეს, 1961 წლის 1 მაისს, სამხედრო აღლუმზე, რომელიც ქალაქის ცენტრში ტარდებოდა, გარნიზონის სარდალი მისასალმებელ სიტყვას ამთავრებდა, როცა ერთ-ერთმა საბჭოთა ოფიცერმა სარდალს მოახსენა, მისასალმებელი სიტყვა გაგრძელებია, რადგან სპეცსამსახურის მუშაკებმა ოპერის თეატრის სხვენში საეჭვო პირობები შენიშნეს. შენობის ორივე კოშკურაში ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული ბენდერი ნაცისტები ისხდნენ და ელოდებოდნენ, როდის დაამთავრებდა გარნიზონის მეთაური თავის სიტყვას, რათა გაეხსნათ ცეცხლი. დაცვის სიფხიზლემ იხსნა უამრავი ადამიანი დაღუპვისაგან. თითქმის ყველა საზეიმო ღონისძიებაზე გვაფრთხილებდნენ ფხიზლად ვყოფილიყავით, ქალაქში გადაადგილებაც კი საფრთხის შემცველი იყო.

ნეონაცისტები არც დღეს გამქრალან უკრაინაში, პირიქით, ევროპის ქვეყნების და აშშ-ს ხელმძღვანელები ყოველმხრივ მხარს უჭერენ, მათ დიდძალ იარაღს და თანხას აწვდიან რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. ომის ინიციატორებმა ჯერჯერობით საბოლოო მიზანს ვერ მიაღწიეს, მაგრამ სერიოზული პრობლემების წინაშე დააყენეს ევროპის ყველაზე დიდი და ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფო - უკრაინა. ამ უაზრო ომში უკრაინის 20 მილიონი ადამიანი ლტოლვილად გადაიქცა, განადგურდა ეკონომიკურად უძლიერესი სახელმწიფო, ომს ბოლო არ უჩანს. ამერიკის მიზანია, როგორმე დაასუსტოს რუსეთი და დაეუფლოს მის სიმდიდრეებს, რაც ჯერჯერობით მიუღწეველია. რა იქნება ხვალ, არავინ იცის.

**ნოდარ ნოზაძე,**
**პენსიონერი.**

# ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია აცხადებს გამარტივებულ კონკურსს

**ვაკანსია**

**პოზიციის დასახელება: ინფრასტრუქტურის და ზედამხედველობის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის მონიტორინგისა და ზედამხედველობის განყოფილებაში ხელშეკრულებით დასაქმებული პირი;**

**კონკურსის ტიპი:** გამარტივებული კონკურსი;

**ორგანიზაცია:** ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია;

**კატეგორია:** ზედამხედველობა;

**განცხადების ბოლო ვადა 24.03.2023;**

**თანამდებობრივი სარგო 500 ლარი;**

**ადგილების რაოდენობა 5;**

**სამსახურის ადგილმდებარეობა ბორჯომი;**

**სამუშაოს ტიპი სრული განაკვეთი;**

**გამოსაცდელი ვადა 3 თვე;**

**ფუნქციები**

**- ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შედეგად დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგისა და ზედამხედველობის განხორციელებაში დახმარების გაწევა;**

**საკონკურსო თემატიკა**

**ა) საქართველოს კონსტიტუცია;**

**ბ) „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონი;**

**გ) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი;**

**დ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;**

**ე) ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 აპრილის №33 დადგენილებით დამტკიცებული „ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის დებულება“;**

**ვ) ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 მარტის №11 დადგენილებით დამტკიცებული „ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურის დებულება“**

**კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები**

**პროგრამის დასახელება ცოდნის დონე**

Microsoft Office Word კარგი;

Microsoft Office ცხელ კარგი;

**საკონტაქტო ინფორმაცია;**

**საკონკურსო კომისიის მისამართი ბორჯომი მესხეთის ქ.№5**

**საკონტაქტო ტელეფონები 551110419;**

**საკონტაქტო პირი ლეილა ნოზაძე;**

**დამატებითი მოთხოვნები:**

**- სასურველია კანდიდატს ჰქონდეს ავტომობილის მართვის მოწმობა;**

**1. პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;**

**2. დროის ეფექტური მართვის უნარი;**

**3. ანალიზისა და დეტალებზე ორიენტირების უნარი;**

**4. სტრესულ სიტუაციებში მუშაობის უნარი;**

**5. გუნდური მუშაობის უნარი;**

**დამატებითი ინფორმაცია**

- კონკურსში მონაწილეობის მსურველმა კანდიდატმა განაცხადი უნდა შეავსოს, მხოლოდ ელექტრონული ფორმით საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით.

- გამარტივებული კონკურსი ცხადდება საჯარო სამსახურში პირის შრომითი ხელშეკრულებით მისაღებად.

- კანდიდატებს კონკურსის თითოეული ეტაპის შედეგების შესახებ ინფორმაცია ეცნობება განაცხადში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე.



# „პატარა მატარებელს“ დიდი ყურადღება და მზრუნველობა ესაჭიროება

**ბორჯომ-ბაკურიანის** ვიწროლიანდაგიანი რკინიგზას 120 წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს.

ამ რკინიგზამ ნამდვილად გაუძლო ათწლეულების მანძილზე ცარიზმის და კომუნისტური საზოგადოების ბიუროკრატიულ მართვის თუ ავტორიტარული რეჟიმის უმკაცრეს ქარტეხილებს და უდიდესი როლი შეასრულა ქვეყნის განვითრებისა თუ ბორჯომ-ბაკურიანის საკურორტო ზონაში ჩამოსული ტურისტების მომსახურების საქმეში. ეს უნიკალური რკინიგზა განსაკუთრებით საყვარელი იყო და არის ჩვენი მოზარდი თაობისათვის. ხომ გახსოვთ შესანიშნავი პოეტის მაყვალა მრევლიშვილის შესანიშნავი ლექსი და კომპოზიტორ მერი დავითაშვილის მუსიკის ჰანგებზე შექმნილი სიმღერა:

**„ჩემო პატარა გუგულო,**
**პატარა მატარებელო,**
**მთელი ბორჯომის ხეობის**
**გულის გამხარებელო,**
**ხმა გაქვს ისეთი მჟღერი,**
**ისეთი ომახიანი,**
**ცეცხლში რომ გუგუს დასძახებ,**
**ხმას გაძლევს ბაკურიანი“.**

ვინ მოთვლის, რამდენი თაობა გაიზარდა ამ სიმღერის ჰანგებზე, რამდენი ათასი მოზარდი დაატკბო ბორჯომ-ბაკურიანის მომხიბვლელმა უნიკალურმა ბუნებამ, რამდენი უცხოელი ტურისტი დარჩა გაოცებულ-გაოგნებული ულრან ტყეში გაყვანილი რკინიგზის სილამაზით...

სხვათაშორის, არც მეფის რუსეთის და არც კომუნისტების მმართველობის პერიოდში ერთი დღითაც არ შეწყვეტილა პატარა მატარებლის მოძრაობა, დღეში ორჯერ ქშენა-ქშენით მიუყვებოდა აღმართ-დაღმართიან დაგრეხილ გზას და ახარებდა მგზავრებს.

**ახლა, როგორ არის „პატარა მატარებლის“ რკინიგზა, რა წვლილი შეაქვს თავისუფალი ქვეყნის მშენებლობაში?**

მოკლედ ვიტყვი, არავითარი! ერთ დროს ანდეზიტის წარმოების პროდუქცია, რომელიც ათასობით ტონობით მოიპოვებოდა და ვიწროლიანდაგიანი რკინიგზით ბორჯომამდე ჩამოქონდათ და მერე ათობით საზღვარგარეთის ქვეყანაში გაქონდათ - ქიმიურ მრეწველობაში ნედლეულის სახით, დღეს საწარმო მთლიანად გაპარტახებულია და ამ ნედლეულის მოთხოვნილებაზე საუბარი ზედმეტია. საკოჭავიდან ანდეზიტის საწარმომდე 5-კილომეტრიანი რკინიგზის ლიანდაგების დიდი ნაწილი მოიპარეს და დამნაშავეები დღემდე თავისუფლად დადიან.

მწყობრიდან გამოვიდა თვით რკინიგზაც, დალპა განძელები (შპლები) როგორც დავადგინე,



ბორჯომ-ბაკურიანის რკინიგზას სრული აღდგენისათვის 62 500 განძელი ესაჭიროება, დღემდე მხოლოდ 12 000 არის შეცვლილი, რკინიგზელები ყოველ წელს 2-2 ათას განძელს ცვლიან. გაპარტახდა რკინიგზის უნიკალური სადგურები (დაბა, წაღვერი, ცემი, ტბა, ლიბანი). ამორტიზირებულია სამგზავრო ვაგონები, 60 წლის წინათ შემოყვანილი ელმავლები, დეპოს მუშა-მოსამსახურეთა თავგანწირული შრომის შედეგად დღესაც „სუნთქავენ“, ორიოდე წლის წინათ „პატარა მატარებელი“ ავად თუ კარგად კიდევ ასრულებდა თავის მოვალეობას, მერე ელმავალის მხოლოდ ერთი ვაგონი ძლივს აყავდა ბაკურიანამდე, ამ ვაგონით დღეს მხოლოდ რკინიგზის მუშები დაყავთ და არც ერთი მგზავრი ვაგონში არაა.

„პატარა მატარებელს“ ვინ ჩივის, დღეში ორი მატარებელი დადიოდა ბორჯომსა და თბილისს შორის და ახლა ერთი მატარებელი ძლივს დადის. სხვათაშორის დღეს ბორჯომში მგზავრთა მოსაცდელი სადგურიც აღარაა. კომუნისტების დროს მატარებლის მემანქანეებისათვის სასტუმროც იყო ბორჯომ-ბალის სადგურში, ახლა მემანქანეები დაქირავებულ სახლებში ათევენ ღამეს.

მიზეზი „ცნობილია“, სამგზავრო მატარებელი ზარალიანი ყოფილა და მხოლოდ „ბორჯომის“ მინწყლით დატვირთული ვაგონები მოძრაობს ბორჯომსა და თბილისს შორის. ხაშურიდან ბორჯომამდე სადგური (ახალდაბის სადგური) და ბაქნები გაპარტახებულია, (ყვიბისის ბაქანი როგორც იქნა კეთილმოეწყო).

ცალკე საუბრის თემაა ისტორიული „ეიფელის ხიდი“, რომელსაც სერიოზული ყურადღება და მზრუნველობა ესაჭიროება.

როდის გარემონტდება რკინიგზის ხაზი და შენობა-ნაგებობები, როდის განახლდება მატარებლების მოძრაობა, არავინ იცის. არადა, 2023 წლისთვის ბაკურიანში ზამთრის სპორტის სახეობაში მსოფლიო ჩემპიონატი მაღალ დონეზე გაიმართა, მაგრამ „პატარა“ მატარებლის გარეშე. 2025 წელს კიდევ უფრო მასშტაბური ღონისძიებაა დაგეგმილი. დღემდე უცნობია საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტი აპირებს თუ არა ბორჯომ-ბაკურიანის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის აღდგენას.

გაზეთი „ბორჯომი“ არაერთხელ წერდა ბორჯომ-ბაკურიანის საკურორტო ზონაში არსებულ პრობლემებზე, ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის გასაჭირზე, რკინიგზის დეპარტამენტის ყოფილ ხელმძღვანელებს სპეციალური წერილიც გავუგზავნეთ რკინიგზის სადგურების და ბაქნების სავალალო მდგომარეობის თაობაზე. სამწუხაროდ, პასუხიც დღემდე არავის გამოუგზავნია.

არაერთხელ გავაჟღერეთ ჩვენი ოცნებაც ამ 30 კილომეტრიან უნიკალურ რკინიგზის გასწვრივ, შესაძლებელია, მოეწყოს ქართული „დისნეილენდის“ მსგავსი ბავშვთა გასართობი ატრაქციონები და ეს რკინიგზა გამოყენებული იქნას ბავშვთა დასვენების და გართობის ზონად, მაგრამ, ჯერჯერობით, „არსაიდან ხმა, არსით ძახილი!“ ვინძლო, 2025 წლის მსოფლიო ახალგაზრდული ფესტივალისათვის მიხედონ ამ უნიკალურ რკინიგზასაც!

ბორჯომ-ბალის შესანიშნავი ვაგზალი რესტორნებად გადაკეთდა, ხოლო დედათა და ბავშვთა, მემანქანეების მოსასვენებელი ოთახები საერთოდ გაუქმდა. მეორე სართულზე ნოტარიუსი ფუნქციონირებს, გაგიკვირდებათ და აქვე ყოფილ სადგურში კომუნისტების დროინდელი მატარებლების გრაფიკის დაფა ისევ არსებობს. ამ ნაკლოვანებების თაობაზე ადრეც ვწერდით, მაგრამ, როგორც ჩანს, ვისაც ეხება მისი გამოსწორება, როგორც წესი, გაზეთებს აღარც ისინი კითხულობენ.

**რაც შეეხება მოარულ ხმებს „ბორჯომ-ბაკურიანის“ ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის გაუქმებას თუ გაყიდვას ამაზე საუბარი „ყურით მოთრეული“ ჭორია. როგორც კომპეტენტურმა პირებმა გვითხრეს, საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელობა აქტიურად ეძებს სპონსორებს, რომლებიც ითავებენ ამ უნიკალური რკინიგზის სრულ რეაბილიტაციას, ვინძლო გამოჩნდეს ვინმე ღვთისნიერი, რომელიც საქართველოს მომავალს შეუნარჩუნებს პატარა მატარებელს.**

**ვალერიან ლომიძე,**
**გაზეთ „ბორჯომის“**
**რედაქტორი**

---

**მოვლენების კვალდაკვალ**

# ჩვენ სიძულვილით დავაფრთხეთ, სხვებმა ისარგებლეს...

**რუსეთ-უკრაინის** ომის დაწყებისთანავე რუსეთის მილიონობით მოქალაქე ემიგრანტად იქცა. მათ მიაშურეს მეზობელ ქვეყნებს: საქართველოს, ყაზახეთს, სომხეთს, თურქეთს. მარტო მესამე კვარტალში და განსაკუთრებით ნაწილობრივი მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ რუსეთიდან ემიგრანტთა რიცხვმა 9 მილიონს გადააჭარბა. (მთლიანად კი, დაუზუსტებელი მონაცემებით, 20 მილიონზე მეტი გადაიხვეწა სამშობლოდან). ჯერ კიდევ მარტში, როცა ლტოლვილთა ნაკადი გაიზარდა და ლარსის გამშვებ პუნქტთან „ჩახერგილი რიგები“ დადგა, ნაციონალების სიძულვილის მფრქვეველმა ტელევიზიებმა ერთი ამბავი ატეხეს: როგორ შეიძლება „მტრის ხატის“ მოქალაქეები ჩვენთან შემოვიდოდნენო! რუსეთი ოკუპანტია უკრაინაშიც და საქართველოშიც და მთავრობისგან მოითხოვეს, „ოკუპანტი ლტოლვილები“ საქართველოში არ შემოეშვათ. კიდევ კარგი, მთავრობამ მათ ყური არ ათხოვა და ლარსის საბაჟო არ ჩაკეტა! ჰომოფობიური გამოვლინებები გახშირდა საქართველოში: რუსებს შეურაცხყოფას აყენებდნენ, აფურთხებდნენ, დაქირავებული მოზარდები სასაუზმეებში საჭმელებზე (ხაჭაპურებზე) უნერწყვავდნენ, ათასნაირი შეურაცხყოფის ხერხებს იგონებდნენ. ამას კვერს უკრავდნენ, როგორც ვთქვით, მოფაშისტო ტელევიზიები და პარტიებიც. უფრო მეტიც, ინტელიგენციის ერთი ნაწილიც ამ სამარცხვინო ჰომოფობიას უჭერდა მხარს. არავითარი გრძნობა შებრალებისა, რომ ისინი ჩვეულებრივი ლტოლვილები არიან! საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა, სპეციალური განცხადება გაეკეთებინა იმის შესახებ, რომ იგი არ დაუშვებს ლტოლვილთა უფლებების უხეშად დარღვევას, რა ეროვნებისაც არ უნდა იყოს იგი!



ამან მდგომარეობა ჩააცხრო, მაგრამ ხელისუფლებისაკენ მსწრაფ ნაცებს და ენჯეოებს რა გააჩერებდათ: ათასნაირ ცილს სწამებდნენ „ქართული ოცნების“ მთავრობას, რომ იგი რუსეთის მომხრეა, სანქციებს არ უწესებს, რომ საერთოდ „რუსული ხელისუფლება“ გვყავს და საჭიროა მათი მოშორება. ეს გაისმოდა მიტინგებზე (ალბათ გახსოვთ „ტექნიკური მთავრობის“ შექმნის ედეა). ხელსუფლება არ აყვა ამ პროვოკაციებს და განაგრძობდა უკრაინელი ხალხის დახმარებას. აღმოჩნდა, რომ მთელ მსოფლიოში შემოწირულობების მხრივ საქართველო პირველია!

ლარსის გამშვებ პუნქტთან კი გრძელი რიგის გამო კვლავ კვირაობით ელოდებოდნენ რუსი ლტოლვილები საქართველოში შემოსვლას.

დაუზუსტებელი მონაცემებით, საქართველოში რუსეთიდან შემოვიდა 150 ათასზე მეტი ლტოლვილი. აქედან მათდამი გამოვლენილმა სიძულვილმა დაახლოებით 50 ათასი დააფრთხო და საქართველოდან გადაიხვეწა. ისინი გადავიდნენ სომხეთში და თურქეთში. დარჩენილი ლტოლვილებიდან კი ნახევარი რუსეთში მცხოვრები ქართველია!

აღმოჩნდა, რომ დარჩენილი ლტოლვილები საფრთხეს კი არ უქმნიან ქართულ ეკონომიკას, პირიქით, მათ საქართველოში შემოიტანეს ერთ მილიარდამდე დოლარი და თავიანთი ბიზნესები დააფუძნეს აქ. ამით კი საქართველოს ეკონომიკა გამოცოცხლდა და ორნიშნა განვითარების ნიშნულ მიაღწია. 2022 წლის მონაცემების მიხედვით ამის შესახებ ჯერ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** განაცხადა, შემდეგ კი საერთაშორისო სავალუტო ფონდმა (მსოფლიო ბანკმა) აღიარა.

**ეს მონაცემები კი ასეთია:** საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მოცულობამ შარშან 10,1 პროცენტი შეადგინა (დაგეგმილი იყო 5,6 პროცენტი) ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ევროპის რეგიონსა და ცენტრალურ აზიაში(1). ეროვნული ბანკის პრეზიდენტი **კობა გვენეტაძე** იმასაც კი ვარაუდობდა, რომ ეს მაჩვენებელი 10 პროცენტს გადააჭარბებდა. „საერთაშრისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მონაცემებით წელს ქვეყანამ რუსეთიდან ფულადი გზავნილებით, ტურიზმით და საქონლის ექსპორტით დაახლოებით 2,2 მილიარდი აშშ დოლარი მიიღო. ეს 2021 წლის ამავე პერიოდთან შედარებით 2,6-ჯერ მეტია. მარტიდან სექტემბრის ჩათვლით საქართველოში 9.500-მდე რუსული კომპანია დარეგისტრირდა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 10-ჯერ აღემატება. იანვარ-სექტემბერში რუსეთიდან იმპორტი 73%-ით გაიზარდა და 1,2 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

ამ მხრივ რა მდგომარეობაა სხვა ქვეყნებში? **ყაზახეთში** რუსეთიდან 50 საერთაშორისო კომპანია გადაბარგდა. კიდევ ელოდებიან 300-მდე კომპანიას.

რუსეთიდან მიგრირებული ხალხის გამო 13-პროცენტიან ეკონომიკურ ზრდას ელოდებიან **სომხეთში.** რუსეთიდან სომხეთში 100 ათასამდე ლტოლვილი ჩავიდა. დარეგისტრირდა 300 მსხვილი კომპანია რუსული კაპიტალით და მცირე ბიზნესის 2500 სუბიექტი. სომხების ბანკები ახლა არნახულ შემოსავალს ელიან, წლის პირველ ნახევარში მათი სუფთა მოგება 280 მილიონი დოლარი იყო, სამჯერ უფრო მეტი, ვიდრე წინა წლის ანალოგიურ პერიოდში.

ბევრი ემიგრანტი ჩავიდა თურქეთშიც. ის ნატოს ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც რუსეთის წინააღმდეგ სანქციები არ შემოუღია. რუსული ანკლავები შეიქმნა სტამბოლში, ანტალიაში და სხვაგან. რუსები თურქეთში ყოველდღიურად 34 ბინას ყიდულობენ. ბინების ყიდვის მოთხოვნამ წინა წელთან შედარებით 127 პროცენტს გადააჭარბა.

**ის 50 ათასი ლტოლვილი ადამიანთმოძულე ქართულ ტელევიზიებს, პარტიებს და არასამთავრობოებს საქართველოდან რომ არ გაეყარათ, ის ეკონომიკური სარგებელი ხომ ჩვენ დაგვრჩებოდა?! არიან თუ არა ესენი საქართველოს შინაური მტრები? - რასაკვირველია, არიან!**

**უჩა არაბვისპირელი.**

**P.S. ახლა კიდევ იმას ცდილობენ, საქართველომ რუსულ „ეკონომიკურ გავლენას“ როგორმე თავი დააღწიოს! (სამწუხაროდ, მათ გვერდში უდგას ამერიკის საელჩო). ასეთი უნიადაგო და უაზრო „იდეოლოგია“ არა მგონია მსოფლიოს სხვა რომელიმე ქვეყანაში იყოს!..**

---

**ჟურნალისტის სვეტი**

# დაფიქრდი, სანამ დაბეჭდავ!



**იზა იანვარაშვილი**

**მედიაში მუშაობა, განსაკუთრებით კი პრესაში ჟურნალისტობა ნიშნავს, რომ არა მხოლოდ უნდა ხედავდე და გრძნობდე თითოეულ სიტყვას, არამედ უნდა უფრთხილდებოდე თითოეულ დაბეჭდილ ფურცელს და გამიზნულად იყენებდე მას. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ნაკლები ზიანი მივაყენოთ, თუნდაც ერთი ადამიანის გააზრებით გარემოს, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ. ქაღალდის დაზოგვა გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირების მნიშვნელოვანი ფაქტორია.**

**რედაქციაში ხშირად ვიყენებთ თაბახის ფურცლის ორივე გვერდს და მაქსიმალურად მინიმუმამდე გვაქვს დაყვანილი მათი გამოყენება. ეს ჩვენი სტრატეგიაცაა, ჩვენს აგურს ვდებთ, ჯანსაღი და ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნის პროცესში.**

**ამჟამად მინდა შემოგთავაზოთ რამდენიმე პრაქტიკული რჩევა, თუ როგორ შევამციროთ ოფისში ქაღალდის მოხმარება:**

**პრინტერთან დაკიდეთ სხარტი სლოგანები. მაგალითად, ცნობილი რეკლამის იმიტაცია: „შენ დაფიქრდი ორჯერ, სანამ ამას დაბეჭდავდი?“ და ეს თანამშრომლებს ყოველი ამობეჭდვისას შეახსენებს საჭირო ფრაზას: დაფიქრდი, სანამ დაბეჭდავ!**

**უმეტეს შემთხვევაში ჩვენ ქაღალდის მხოლოდ ცალ მხარეს ვიყენებთ. თუ ოფისში გაქვთ პრინტერი ორმხრივი ბეჭდვის ფუნქციით, ეს ამ პრობლემას დიდწილად აგვარებს. თუ ორმხრივად დაბეჭდვის შესაძლებლობა არ არის, შექმენით ადგილი, სადაც თანამშრომლები ცალ მხარეს დაბეჭდილ ფურცლებს შეაგროვებენ. ამის შემდეგ შეძლებთ შავად ამოსაბეჭდი მასალა ამ, ერთხელ უკვე გამოყენებულ ქაღალდზე დაბეჭდოთ.**

**დოკუმენტის ამობეჭდვამდე 12-იანი შრიფტი 10-იანით შეცვალეთ. ეს მნიშვნელოვნად შეამცირებს გამოყენებული ფურცლების რაოდენობას და წასაკითხად საქმეთ საკმარისი იქნება.**

**თუ თქვენ დიდი დოკუმენტი გაქვთ ამოსაბეჭდი, დაბეჭდვამდე მხოლოდ რამდენიმე გვერდი ამობეჭდეთ, რათა დარწმუნდეთ, რომ ფორმატი მისაღებია. მხოლოდ ასეთი ტექსტის შემდეგ დაბეჭდეთ მთლიანი დოკუმენტი.**

**ასევე, დაიანგარიშეთ რამდენ ფურცელს ხარჯავდა თქვენი ოფისი და ყოველთვიურად გამოაქვეყნეთ, როგორ მცირდება ქაღალდის მოხმარება, ამ რჩევების გამოყენებისას, დალმავალი გრაფიკი დიდი მოტივაცია იქნება თანამშრომლებისთვის, რადგან თქვენ ეს ერთად შეძელით!**

**მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგია ამცირებს ქაღალდის გლობალურ მოხმარებას, მსოფლიოში მაინც დიდია მისი გამოყენების რიცხვი. გაზეთები, ფოსტა, ქსეროქსი, კვების ობიექტებში მუყაოს ყუთები, ქაღალდის ხელსახოცები, ნებისმიერი ჟურნალის კითხვა, ბურღულეულის მუყაოს ყუთები და ა.შ. ამიტომ უმნიშვნელოვანესია, დავფიქრდეთ, სანამ დავბეჭდავთ.**

**სწორედ ამიტომ გადავწყვიტე აღნიშნულ თემაზე დამეწერა, რადგან საკითხი თანდათან აქტუალური ხდება და ვფიქრობ, ასე ეტაპობრივად, თუნდაც ერთ ადამიანს შეუძლია შეამციროს და დაზოგის ბუნებრივი რესურსი.**

**P.S. იცით, თუ არა, რომ ერთი ტონა საგაზეთო ოფსეტის ქაღალდი 2 ათასი დოლარი ღირს.**

# მუსიკალური სკოლის მორიგი წარმატება



**თბილისში ევგენი მიქელაძის სახელობის ცენტრალურ მუსიკალურ სასწავლებელში გაიმართა მუსიკოს შემსრულებელთა IX საერთაშორისო კონკურსი დევიზით – ნორჩი ვირტუოზები. კონკურსში მონაწილეობა მიიღეს ბორჯომის სამუსიკო სკოლის ნარჩინებულმა მოსწავლეებმა.**

ჟიურის წევრებმა აღნიშნეს რეგიონებიდან ჩამოსული პატარა მუსიკოსების დიდი წინსვლა და მომზადების მაღალი დონე. მათ შორის გამორჩეულად დასახელდა ბორჯომის სამუსიკო სკოლა.

კონკურსში მოსწავლეებმა სხვადასხვა კატეგორიებში მაღალი საპრიზო ადგილები დაიმსახურეს:

**ბარბარე მაჩაიძე** II კლასი (პედაგოგი მ. რატიანი) – I ადგილი;
**შალვა არბოლიშვილი** III კლასი (პედაგოგი მ. გაბაშვილი) – II ადგილი;
**ნინო ცაგურიშვილი** III კლასი (პედაგოგი მ. ქიტიაშვილი) – III ადგილი;
**ერეკლე გელაშვილი** III კლასი (პედაგოგი მ. ქიტიაშვილი) – II ადგილი;
**ილია ალთუნაშვილი** V კლასი (პედაგოგი მ. გაბაშვილი) – I ადგილი;
**ოთარი ოთარაშვილი** V კლასი (პედაგოგი მ. რატიანი) – II ადგილი;
**ლიზი ხაჩიძე** V კლასი (პედაგოგი მ. რატიანი) – I ადგილი.

**ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია ბორჯომის ზაქარია ფალიაშვილის სამუსიკო სკოლის მოსწავლეებს და პედაგოგებს ულოცავს მორიგ წარმატებას.**

# მესხეთის თეატრი მორიგი სპექტაკლით



**ბორჯომის** კულტურისა და ხელოვნების ცენტრმა მესხეთის თეატრის მიერ წარმოდგენილ კიდევ ერთ საოცარ სპექტაკლს უმასპინძლა. „მათრობს და მხიბლავს“ ასე ერქვა სპექტაკლს, რომელიც ორ მოქმედებად იყო წარმოდგენილი.

სპექტაკლი ერთ შინაბერად დარჩენილი, 40 წელს გადაცილებული ქალის ცხოვრების შესახებ მოგვითხრობს, რომელიც ეტლს მიჯაჭვული დედის ერთადერთი ნუგეში და იმედია. თუმცა, ერთ დღეს მისი ცხოვრება სრულიად მოულოდნელად იცვლება, როდესაც მას ბედი „კარზე მიუკაკუნებს“. სწორედ აქედან ვითარდება უამრავი ძალიან საინტერესო და სახალისო ეპიზოდით აღსავსე წარმოდგენის სცენარი, რომელიც თანაბარი დოზით აერთიანებს ტრაგედიასაც, დრამასაც და იუმორსაც და ალბათ ამან განაპირობა ის, რომ ბორჯომელი მაყურებელი ამ დღესაც საოცრად საინტერესო, დადებითი და სახალისო ემოციით დაიტვირთა. როგორც მესხეთის თეატრის ყველა სპექტაკლზე, აღნიშნულ დღესაც დარბაზი გადავსებული გახლდათ, რადგანაც ჩვენი მაყურებელი ყოველთვის მიჩვეულია გამორჩეულ და რაც მთავარია ხარისხიან სპექტაკლებს. უნდა აღინიშნოს, რომ ნანახმა ყველანირ მოლოდინს გადააჭარბა. სპექტაკლის დასრულების შემდგომ კი არ წყდებოდა მაყურებელთა შეძახილები და აპლოდისმენტები.

**მაიკო ლომიძე:** – მესხეთის თეატრის ყველა სპექტაკლი ნანახი მაქვს და ყველა საოცრად კარგია. თეატრს პროფესიონალ მსახიობთა დასი ყავს და რაც მთავარია, ძალიან ყურებადი და ყველა ასაკის მაყურებლისათვის მოსაწონი სპექტაკლები აქვთ. დღევანდელმა სპექტაკლმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

**ნატალია მაისურაძე:** – დღეს ჩემ შვილებთან ერთად მოვედი სპექტაკლზე და ძალიან მოგვეწონა. მიყვარს მესხეთის თეატრი და მისი მრავალფეროვანი სპექტაკლები. ხშირად დავდივართ ხოლმე ახალციხეში, თუმცა დღევანდელი შანსიც გამოვიყენეთ და აქაც სიამოვნებით დავესწარით ჩვენთვის საყვარელი თეატრის სპექტაკლს. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა და წარმატებები ვუსურვო მესხეთის თეატრის დასსა და ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრს ასეთი შესანიშნავი სპექტაკლისათვის.

**ნატო მელიქიძე**

# გაზაფხულის ზეიმი ბიბლიოთეკაში



**ბაკურიანის** საქალაქო ბიბლიოთეკაში გაზაფხულის დღესასწაულებისადმი მიძღვნილი ზეიმი გაიმართა. **დარეჯან ბარათელთან** ერთად, რომელიც ბაკურიანის ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი გახლავთ, ღონისძიებაში ჩაერთვნენ ბაკურიანის საჯარო სკოლის II კლასის მოსწავლეები (პედაგოგი **მაია ბაბუნიძე**). ბავშვებმა დედაზე განსაკუთრებული მღელვარებით წაიკითხეს ლექსები. იქვე გამოფენილი იყო მათი ნახატები, სადაც პატარებმა თავისი დედიკოები დახატეს. ლექსები წაიკითხეს უფროსებმაც, ფანდურზეც ჩამოჰკრეს და პატარები სიმღერაშიც აიყოლიეს. ზეიმს ესწრებოდნენ საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი **ნაირა ამანათაშვილი** და ცენტრალური ბიბლიოთეკის სხვა თანამშრომლები. **დარეჯან ბარათელმა** განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა მეორე კლასელთა ხელმძღვანელს, **მაია ბაბუნიძეს,** ბავშვების მშობლებს, რომლებმაც ძალიან მოკლე დროში ერთმანეთის მხარში დგომით შეძლეს ამ გაზაფხულივით ლამაზი ღონისძიების მომზადება. ქალბატონმა დარეჯანმა მეორეკლასელებს „ვეფხისტყაოსანი“ გადასცა საჩუქრად. – ბიბლიოთეკაში ღონისძიების მთავარი მიზანი მკითხველის მოზიდვაა. ვისურვებ, რომ ბავშვები აქტიურად ჩაებნენ ბიბლიოთეკის აქტივობებში, წიგნების კითხვას და აქ სტუმრობას მოუხშირონ. წიგნის სიყვარული ხომ მაღალი კულტურის მაჩვენებელია, – აღნიშნა **დარეჯან ბართელმა.**

**რუსუდან სხირტლაძე**

ჭადრაკი

# ბორჯომელ გოგონათა ტრიუმფი

**11-13 და 17-19 მარტს ახალციხეში გაიმართა სამცხე-ჯავახეთის მხარის პირადი პირველობა ჭადრაკში ჯერ 8 და 12, 10 და 14 წლის ასაკის გოგონებსა და ვაჟებს შორის.**

**პირველ ტურნირში ბორჯომიდან მონაწილეობდნენ: ბარბარე და ელენე შონიები და დავით მესხი.**



**10 წლის ბარბარე** 12 წლამდე ასაკის გოგონებს ეპაექრებოდა. მან ყველა მეტოქე დაამარცხა და მესამედ გახდა სამცხე-ჯავახეთის ჩემპიონი. ბარბარეს არ ჩამორჩა მისი უმცროსი და, 7 წლის **ელენე**. 8 წლამდე ასაკში მან ასევე ყველა მეტოქეს სძლია და პირველად გახდა სამცხე-ჯავახეთის ჩემპიონი. გამარჯვებულებს გადაეცათ თასები, ოქროს მედლები და სიგელები. ადრეული წლების სამცხე-ჯავახეთის ორგზის ჩემპიონი **დათო მესხი** მხოლოდ V ადგილს დასჯერდა.



მეორე ტურნირში სამი გოგონა მონაწილეობდა. 10 წლამდე ასაკში ერთმანეთთან ყაიმი დაამთავრეს და დანარჩენებს ყველას მოუგეს ბორჯომელმა **თეა რუსიტაშვილმა** (№1 საჯარო სკოლის IV კლასი) და ახალციხელმა **მარიამ მიგრიაულმა.** ჩემპიონის გამოსავლენად მათ შორის დამატებითი პარტია გათამაშდა, რომელიც მოიგო **თეამ და პირველად გახდა სამცხე-ჯავახეთის ჩემპიონი**. 14 წლამდე ასაკში ვერცხლის მედალი დაისაკუთრა **მარიამ თურქაძემ.**

10 წლამდე ასაკში ასევე წარმატებით იასპარეზა 7 წლის **ელენე შონიამ.** ის **თეა რუსიტაშვილის** და **მარიამ მიგრიაულის** შემდეგ მესამე იყო.

ამრიგად, 6-მა ბორჯომელმა მოსწავლემ სიგელებთან ერთად ბორჯომში ჩამოიტანა **გამარჯვებულის სამი თასი, სამი ოქროს, ერთი ვერცხლის და ერთი ბრინჯაოს მედალი.**

**უშანგი ჯანგირაშვილი,**
**მწვრთნელი.**

# რატომ არ დადის სტადიონზე გულშემატკივარი?!

**ამას წინათ** მეზობელი ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“ ჩამივარდა ხელში, სადაც აღნიშნული იყო, რომ ხაშურელი ფეხბურთის მოყვარულები არნახულ ერთგულებას იჩენენ თავისი გუნდის „ივერიის“ მიმართ და საშინაო მატჩებზე ხუთი ათასზე მეტი გულშემატკივარი ესწრება, ეს მაშინ, როცა უმაღლესი ლიგის მატჩებს, მათ შორის წამყვანი გუნდების თამაშებს 200-დან 500 მაყურებლამდე თუ ესწრება, გამონაკლისი მხოლოდ ბათუმის „დინამოა“, რომლის მატჩებზე 5 ათასიდან 20 ათასამდე მაყურებელი ესწრება. აქ გულშემატკივარი მაქსიმუმ ხვიჩა კვარაცხელიას თამაშის დროს თუ ესწრებოდა.



ხაშურის სტადიონს მხოლოდ ერთი 2 ათას ადგილიანი ტრიბუნა აქვს, სადაც მაყურებელი მუდმივად ესწრება, ბილეთის ფასი 2 ლარია.

საქმე იმაშია, რომ მიუხედავად ამისა, გუნდის კარგმა თამაშმა იმდენად დააინტერესა ხაშურლები, რომ ხშირად მათი რაოდენობა 5 ათას აჭარბებს, ისინი ფეხზე დგომით ავსებენ უტრიბუნო სტადიონს, თანაც ბილეთს იძენენ, გასვლით მატჩებზე კი გუნდს 2 ათასზე მეტი გულშემატკივარი მიყვება თავისი ხარჯებით მოწინააღმდეგე გუნდის ქალაქებში.

ციფრები მართლაც გამაოგნებელი და დაუჯერებელია, ეს ფაქტი არ სჯერათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში, მაგრამ როცა მათ გაუგზავნეს ვიდეო-მასალა გულშემატკივართა დასწრების შესახებ, ირწმუნეს და თავისი წარმომადგენლები გააგზავნეს ხაშურში.

ახლა ხაშურის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ფიქრში ჩავარდა, როგორ დაუმატოს სტადიონს ტრიბუნები.

ფაქტი სახეზეა, აღნიშნული წერილი კი ბორჯომის გუნდის გულშემატკივრობამ დამაწერინა. ბორჯომის „თორი“ მესამე ლიგაში ასპარეზობს და ხაშურელებზე უკეთესი შედეგი აქვს. მათ რომ მეტი ხელშეწყობა ჰქონდეთ, პირველ ლიგაშიც იასპარეზებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ბორჯომის საფეხბურთო სტადიონის მშვენიერი პროექტი არსებობს, იგი თითქმის 20 წელია განუხორციელებელია.

მაგრამ, მთავარი მაინც ის არის, რომ ჩვენი გუნდის თამაშზე ძალიან ცოტა მაყურებელი ესწრება, ეს მაშინ, როცა ადრეულ წლებში სავსე იყო სტადიონის ტრიბუნები.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მოედნის საფარი კარგა ხანია ამორტიზებულია. ფეხბურთელთა გასახდელები, მსაჯთა ოთახები განახლებას საჭიროებს, ხშირად არ არის შხაპის მიღების საშუალება და სხვა.

**ნუთუ ბორჯომში ფეხბურთი აღარ უყვართ, ნუთუ არავის აინტერესებს გუნდის მდგომარეობა?**

მახსოვს, 50-60-იან წლებში წარმატებით ტარდებოდა რაიონის პირველობები წარმოება-დაწესებულებებს შორის, მაყურებელიც ესწრებოდა, ბორჯომის მთავარი გუნდი წარმატებით ასპარეზობდა საქართველოს პირველობაზეც.

მიმაჩნია, ტრადიციები უნდა აღდგეს, ფეხბურთის განვითარებას მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სოფელშიც და ქალაქშიც, მაშინ სხვაზე ნაკლები გულშემატკივრობა არ გვექნება.

**თემურ ხუხუნაიშვილი,**
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

**დავით აღმაშენებლის ქუჩის №35 ბინის მცხოვრები მეზობლები თანაგრძნობას უცხადებენ გიორგი (ჟორა) სიმონიანს მეუღლის**
**ასმიკ სიმონიანის**
**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**


გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. თბილისი, თევდორე მღვდლის №57.

borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომიძე